№ 20478
14.12.2017

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის
დარგობრივი ეკონომიკისა
და
ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრების: გ. ფოფხაძის; გ.ხატიძის; გ.მაჭარაშვილის; ს.კილაძის; რ.კაკულიას; ე.ბესელიას; მ.მდინარაძის; ლ.კობერიძის; მ.ქარაიას; ე. მაჭავარიანის; დ.მათიკაშვილის; ვ.ზარდიაშვილისა და ნ.გოგუაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტები:
„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
და
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
(07-3/78; 22.06.2017)

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა 2017 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების: გ. ფოფხაძის; გ.ხატიძის; გ.მაჭარაშვილის; ს.კილაძის; რ.კაკულიას; ე.ბესელიას; მ.მდინარაძის; ლ.კობერიძის; მ.ქარაიას; ე. მაჭავარიანის; დ.მათიკაშვილის; ვ.ზარდიაშვილისა და ნ.გოგუაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტები: „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

კომიტეტმა აღნიშნა, რომ კანონპროექტებს პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა იმ დათქმით, რომ მოხდებოდა ყველა პრინციპული საკითხის შეჯერება და მისი კომიტეტისთვის მისაღები ფორმულირებით წარმოდგენა.

კომიტეტმა, ხაზი გაუსვა წარმატებულ თანამშრომლობას, რომელიც სამუშაო პროცესში შედგა და შეჯერდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- **სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული რეგულაცია.**

კერძოდ, კანონპროექტში აისახა 2014/24/EU დირექტივის მოთხოვნები, რომლის თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციიდან

საზოგადოებრივი მაუწყებელი შესაძლებელია გათავისუფლდეს მხოლოდ ტელერადიოპროდუქციის შექმნასთან დაკავშირებულ ინტელექტუალურ ნაწილში და გამონაკლისი არ უნდა ეხებოდეს ტელერადიოპროდუქციის შექმნისთვის საჭირო მატერიალურ ნაწილს.

კანონპროექტში ასახულია დირექტივის მოთხოვნა და უნდა აღინიშნოს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა 2014/24/EU დირექტივასთან საქართველოს 2019 წლის სექტემბრამდე ევალება.

- **საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალურ დირექტორს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის საკითხი.**

დამატებითი კონსულტაციების შედეგად მოხდა მთავარ პრინციპთან მიმართებაში შეჯერება, რომელიც გადაწყვეტილების კონსენსუსის საფუძველზე მიღებას შეეხება, როგორც ბიუჯეტის, ასევე ორგანიზაციულ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კანონპროექტში მკაფიოდ გაიწერა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალურ დირექტორს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის საკითხი.

- **საზოგადოებრივი მაუწყებლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხი.**

კანონპროექტით გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული ფორმულირება, რომლის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლობის დაფინანსების ოდენობას წარმოადგენს წლიური ბიუჯეტის კანონის შემუშავების პერიოდში არსებული მაკრო პარამეტრების გათვალისწინებით დასაგეგმი წლის წინა წლისათვის განსაზღვრული მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 0.14%-ისა. საზოგადოებრივ მაუწყებელს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება ჩაერიცხება სრულად საბიუჯეტო წლის დასრულებამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული კვარტალური განწერის შესაბამისად.

კომიტეტმა გამოყო ორი პრინციპული საკითხი, რომელზეც ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, კერძოდ:

- **კომერციული რეკლამასთან დაკავშირებული საკითხი:**

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარმოდგენილი იყო კომერციულ რეკლამასთან დაკავშირებით დამატებითი არგუმენტაცია, კერძოდ:

1. საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს პოტენციურ რეკლამის მიმწოდებლებთან უშუალო კომუნიკაცია;
2. კომერციული რეკლამით მიღებული სახსრები მიმართული იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტების სტიმულირებისაკენ.

კომიტეტისთვის წარმოდგენილი პოზიცია გასაგები იყო, თუმცა უფრო წონად არგუმენტაციად მიიჩნია კონკურენციასთან დაკავშირებული საკითხი. კომიტეტმა განმარტა, რომ წარმოდგენილი რეგულაციით ხდება კერძო ტელევიზიებისთვის (განსაკუთრებით ახალშექმნილი ტელევიზიებისთვის) კონკურენტული გარემოს შეზღუდვა სარეკლამო ბაზარზე.

გარდა ამისა, კომერციული რეკლამიდან შემოსავლის მოიულებლობამ შესაძლოა საფრთხის წინაშე დააყენოს კერძო ტელევიზიების დამოუკედებლობის ხარისხი.

დამწყები საწარმოების (სტრატაპების) წახალისების საკითხი:

კომიტეტმა აღნიშნა, რომ სტარტაპებთან დაკავშირებული რეგულაცია ახალი ფორმულირებით იქნა წარმოდგენილი. იგი, იზიარებს ახალი ბიზნეს ინიციატივების წახალისების აუცილებლობას, თუმცა მიზანშეწონილად მიაჩნია ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული ინიციატივებისათვის მხარდაჭერა უნდა მოხდეს არსებული სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით. შემოთავაზებულ მიდგომამ შესაძლოა მომავალში, ნებისმიერ სხვა სფეროში ანალოგიური ინიციატივების არსებობის შემთხვევაში, დაგვაყენოს ორგამი სტანდარტებით რეაგირების საფრთხის წინაშე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კომიტეტმა წარმოდგენილი ფორმით კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა და მოუმზადებლად მიიჩნია საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისათვის.

რომან კაკულია

კომიტეტის თავმჯდომარე